# ETHOLINGUISTIC ASPECTS OF THE STUDY OF ERDO-BANI HOUSES ("HOUSES WITH FLAT AND STRAIGHT ROOFS") IN THE FRON VALLEY

## ფრონის ხეობის ერდოიან-ბანიანი სახლების შესწავლის ეთნოლინგვისტური ასპექტები

**MARIAM KOBERIDZE**
Doctor of Philology, Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995577251275, maikoberidze@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-6604-1628

**Abstract.**

Housing occupies a special place in the material and spiritual culture of the Georgian people. The study of the lifestyle woven into the customs and traditions of people living in a particular territory in the relevant context requires ethnolinguistic research along with historical facts.

High construction traditions and migration of population from different parts of Georgia led to the emergence of various types of residential buildings in the Frona Valley: Gomuri, Erdo-Bani, wooden and stone houses.

This article analyzes the ethnolinguistic aspects of the study of Erdo-Bani houses of the Frona Valley. The study is based on historical and ethnographic data, dictionaries of the Georgian language, dialect data and diachronic analysis of the relevant scientific literature.

The Erdo-Bani house was a one-story building built from Aliz materials. The flat clay roof was called erdo, and the chimney cut into the roof was called bani. The front part of this type of house served as a living space, and the back of the house was used as a place to store goods.

Research and research of the issue showed us that in the historical past of Georgia, the Erdo-Crowned house was widespread, in addition to Kartli, mainly in Trialeti and Meskheti-Javakheti. This type of housing i. In the second half of the 18th century, Güldenstedt also saw it in Kakheti. The crowned hall of Erdo can be single-part and complex. A single hall with a crown on top was typical for the Fron Valley. Trialeti and Samtskhe-Javakhuri were characterized by a complex hall, in which, in addition to housing, there were also other agricultural warehouses (Boseli, Sabdzeli, corridor ...). The findings of the study are important for the analysis of historical, ethnographic and linguistic problems of the Fron Valley.

**Keywords:** Ethnolinguistics; culture; tradition; housing; Erdo; Bani.

**მარიამ კობერიძე**
ფილოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., №53, 1400,
საქართველო, +995577251275, maikoberidze@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-6604-1628

**აბსტრაქტი.**

ქართველი ერის მატერიალურ და სულიერ კულტურაში საცხოვრისს განსაკუთრებული ადგილი უკავია. კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებში ჩაქსოვილი ყოფა-ცხოვრების სტილის შესაბამის კონტექსტში შესწავლა ისტორიულ ფაქტებთან ერთად ეთნოლინგვისტურ კვლევებსაც მოითხოვს.

მაღალმა სამშენებლო ტრადიციამ და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსახლეობის მიგრაციამ განაპირობა ფრონის ხეობაში საცხოვრებელი ნაგებობების სხვადასხვა სახეობა: გომური, ერდოიან-ბანიანი, ხის და ქვის სახლი.

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ფრონის ხეობის ერდოიან-ბანიანი სახლების შესწავლის ეთნოლინგვისტური ასპექტები. კვლევა ემყარება ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებს, ქართული ენის ლექსიკონებს, დიალექტურ მონაცემებსა და შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურის დიაქრონიულ ანალიზს.

ერდოიან-ბანიანი სახლი ალიზის მასალით აგებულ ერთსართულიან ნაგებობას წარმოადგენდა. ბრტყელ მიწაყრილიან სახურავს ეწოდებოდა ერდო, ხოლო სახურავზე ამოჭრილი კვამლის ასასვლელს ბანი. ასეთი ტიპის სახლის წინა ნაწილი საცხოვრებელს წარმოადგენდა, სახლის უკანა ნაწილი კი ბოსლად იყო გამოყენებული.

საკითხის კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ საქართველოს ისტორიულ წარსულში ერდო-გვირგვინიანი სახლი, უპირატესად, ქართლის გარდა თრიალეთსა და მესხეთ-ჯავახეთშიც იყო გავრცელებული. ასეთი ტიპის საცხოვრებელი ი. გიულდენშტეტს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კახეთშიც უნახავს. ერდო-გვირგვინიანი დარბაზი გვხვდება ერთთვლიანი და კომპლექსური. ფრონის ხეობისათვის დამახასიათებელი იყო ერთთვლიანი დარბაზი, რომლის თავზე აღმართული იყო გვირგვინი. თრიალეთისა და სამცხე-ჯავახურისათვის დამახასიათებელი იყო კომპლექსური დარბაზი, რომელშიც საცხოვრებლის გარდა, მოქცეული იყო სხვა სამეურნეო სათავსოები (ბოსელი, საბძელი, დერეფანი...).

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები მნიშვნელოვანია ფრონის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ლინგვისტური საკითხების ანალიზისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ეთნოლინგვისტიკა; კულტურა; ტრადიცია; საცხოვრისი; ერდო; ბანი.

**შესავალი.**

ქართული კულტურის ერთ-ერთი უძველესსა და მნიშვნელოვან მონაპოვარს მოსახლეობის მრავალფეროვანი სამშენებლო ტრადიციები და ღირებულებები წარმოადგენს.უპირველეს ყოვლისა, იმის განსაზღვრა შორეულ წარსულში რამდენად ტიპიური იყო ფრონის ხეობისათვის ერდოიან-ბანიანი სახლები, რომელ ეთნიკურ სამყაროს განეკუთვნებოდა და არის თუ არა ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული პრობლემურია და დიდი სიფრთხილით შესწავლას გულისხმობს.

საკითხის კვლევა მჭიდროდ უკავშირდება ფრონის ხეობის წარსულსა და დღევანდელობას. ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისტორიული დოკუმენტების, ეთნოგრაფიულ-ლინგვისტური მონაცემებისა და უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში ფიქსირებული მასალების დინამიკაში შესწავლა (ჩიტაია, 1941; გიულდენშტედტი, 1962; ჩიქოვანი, 1966; გოგოლაძე, 1968; ჯავახიშვილი, 1976; შოშიტაშვილი, 2019 ა. ...).

**მეთოდი.**

საკითხი ქრონოლოგიურად შესწავლილია დაკვირვების, აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი, თვისებრივი და კრიტიკული ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

**შედეგები.**

სამეცნიერო ნაშრომში გაანალიზებულია ფრონის ხეობის ერდოიან-ბანიანი სახლების შესწავლის ეთნოლინგვისტური ასპექტები; ქრონოლოგიურად შესწავლილია ისტორიულ

დოკუმენტებში, ეთნოგრაფიულ და ენათმეცნიერულ სამეცნიერო ლიტერატურაში ფიქსირებული ემპირიული მასალები; დაზუსტებულია ქართული დარბაზის ტიპი, სპეციფიკური ნიშნები და მასთან დაკავშირებული ტერმინები; განხილულია ფრონის ხეობაში გავრცელებული საცხოვრებელი ნაგებობანი: გომური, ერდოიან-ბანიანი, ქვა-ტალახა, ბოყვიანი, ანუ ჭდეული (ხის სახლი) და ქვის სახლი.

**დისკუსია.**

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ისტორიულ წარსულში საქართველოს პირობებში ერდოიან-გვირვინიანი სახლი უპირატესად გავრცელებული იყო მხოლოდ ქართლში, თრიალეთსა და მესხეთ-ჯავახეთში (ჩიქოვანი, 1966, გვ. 211).

ცენტრალური ანუ მთავარი კავკასიონი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და ისტორიული ცხოვრების სპეციფიკურობის გამო, არახელსაყრელ პირობებს ქმნიდა ერდოიან-გვირგვინიანი სახლის გავრცელებისათვის. აქ გავრცელებული ციხე-სახლი სრული კანონზომიერი შედეგი იყო იმ სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ბატონობდა მთავარი კავკასიონის მთიანეთში თემური საზოგადოების რღვევის პროცესში, რომელიც შემდეგში ადრეფეოდალურ ურთიერთობაში გადაიზარდა (ხარაძე, რობაქიძე, 1964, გვ. 18).

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერდო სხვადასხვა მნიშვნელობითაა ცნობილი, ზოგან ერდოს სახელად ბანს ხმარობენ, ბანის სახელად კი - ერდოს.

ილია აბულაძის ,,ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ერდო და ბანი განმარტებულია, როგორც ,,სხუენი“. ,,აღიყვანნა იგინი ერდოსა ზედა“; ,,ქადაგებდით მას ერდოებსა ზედა“ მთ, 10,987; ,,რომელი იყოს ერდოსა ზედა.. ნუ გარდამოვალნ“ ლ, 17, 811; ,,აღჭდა პეტრე ერდოსა ზედა“ საქ. მოც. 10, 090; ,,ქმნა კარავი ერდოთა ზედა სახლისა თუსისათა“, ივდ. 8,ნწ; ,,იქმნნეს იგინი ვითარცა თივაი ერდოთაი, რომელი მოფხურადმდევე განვმის“ ფს. 198, 6: ,,უმჯობტს არს ყოფაი ყურესა ერდოისასა“ იგ. სოლ. 96, 94 (აბულაძე, 1973, გვ. 148).

ამავე მნიშვნელობით ერდო გვხვდება სხვა ლექსიკონებშიც: ერდო-სახლის ზედა კერძო ბანი (ორბელიანი, 1991, გვ. 293). ერდო- 1. დატკეპნილი მიწის ბრტყელი სახურავი სახლისა თუ სხვა ნაგებობისა, ბანი. 2. ბანში შუაცეცხლის თავზე ამოჭრილი ადგილი, რომელსაც სარკმლისა და საკვამურის დანიშნულება აქვს (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1953, გვ. 1395). ბანი- დატკეპნილი მიწის სწორი (ბრტყელი) სახურავი სახლისა თუ სხვა ნაგებობისა (ოდნავ უკან დაქანებული) (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 2008, გვ. 952).

ერდო- სახლის ზედაკერძო ბანი (საქმე 10, 9; ფსალ.128,6) (ჩუბინაშვილი, 1941, გვ. 149, 210).

ბანი - მიწის სახურავი. ერდო - საკვამი (ჭინჭარაული, 2005, გვ. 86, 342). ბანი-მიწის იატაკი. ერდო-სართულიდან სართულზე ასაძრომი ხვრელი (ცოცანიძე, 2012, გვ. 40, 99).

მთიულეთში კედელში ჩატანებულ თახჩას ერდოს უწოდებდნენ. სახლთან მიდგმულ ციხის კედლებს ჩატანებული ჰქონდა სათოფეები, ხოლო შიგნით - ერდოები სხვადასხვა წვრილმანების შესანახად ეწყობოდა. მთიულეთში სახლის ბანის სახელად კალოს ხმარობდნენ, ეს უკანასკნელი კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ შესაძლებელია აქ წარმოებდა თავთავის შრობა და მისი ხელით ლეწვა (ხარაძე, რობაქიძე, 1965, გვ. 30).

ერდო - ბანი დასტურდება ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით 1935 წელს მთელ საქართველოში საგანგებოდ მოწყობილი ექსპედიციის მასალებში. უწინ ქიზიყში ბანიანი

და დარბაზული სახლებიც ყოფილა. ბანიან სახლს ზემოდან სახურავად მიწა ჰქონია გავაკებული. რადგან ბანიანი სახლი მიწაში იყო, ამიტომ მიწურ სახლსაც ეძახდნენ. მაღლა სათვალე ჰქონია, საიდანაც შუქი ჩამოდიოდა. ქიზიყში ბანს გომში (საქონლის მიწური საზამთრო სამყოფელი) სინათლის ჩასასვლელსაც უწოდებდნენ. ექექსპედიციის მასალებით, მთიულეთში ბანი აღნიშნავს -იატაკს, სახურავს, ფშავში-სახურავს, ზემო ქართლში - სახურავზე ასასვლელ ადგილს.

ქიზიყურში ერდო აღნიშნავს სახურავზე სანათურად და ჰაერისათვის დატოვებულ სივრცეს, ქართლში - კვამლის ასასვლელ ადგილს, მესხეთში- სახურავის წვერზე ამაღლებულ ადგილს, ჯავახეთში- საბძელში ზემოდან ბზის ჩასაყრელ ადგილს (ჯავახიშვილი, 1976, გვ. 35, 36, 64,204, 250, 256).

ისევე, როგორც საქართველოს ბარის სხვა კუთხეებში, ფრონის ხეობაში გავრცელებული იყო შემდეგი საცხოვრებელი ნაგებობანი: გომური, ერდო-ბანიანი, ქვა-ტალახა, ბოყვიანი, ანუ ჭდეული (ხის სახლი) და ქვის სახლი. საცხოვრებლი ნაგებობების სხვადასხვა სახელწოდებით თანაარსებობა განაპირობა მაღალმა სამშენებლო ტრადიციამ და სხვადასხვა კუთხეებიდან მოსახლეობის მიგრაციამ.

ზემოთ აღნიშნული საცხოვრებელი ნაგებობიდან გომური და ერდოიან-ბანიანი ერთი და იგივე ნაგებობას წარმოადგენდა. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავება შეინიშნებოდა, რომ ერდოიან-ბანიანი უკეთ იყო ნაშენი. ეს უკანასკნელი მხოლოდ ადამიანის საცხოვრებლად გამოიყენებოდა, მაშინ, როდესაც გომურში ადამიანთან ერთად ხშირად საქონელიც იდგა. გომურს ზოგჯერ ქვა-ტალახისაგან ნაშენ სახლსაც უწოდებდნენ, მაგრამ იყო ისეთი გომურა-სახლებიც, რომლებსაც წალმით, ანწლით და ბალახით ხურავდნენ.

ვ. გოგოლაძის ჩაწერილ ეთნოგრაფიულ მასალებში (მთხრობელი ჭიღლაძე) დასტურდება სოფელ ავნევში მოსახლე გ. ლალიაშვილის ერდოიან-ბანიან სახლის აღწერა.

ერდოიან-ბანიანი სახლი ალიზის ან ხის მასალით აგებულ ერთსართულიან ნაგებობას წარმოადგენდა. ავნევში ბრტყელ მიწაყრილიან სახურავს ეწოდებოდა ერდო, ხოლო სახურავზე ამოჭრილი კვამლის ასასვლელს ბანი. ერდოიან-ბანიან სახლს ქვის საძირკველზე აგებდნენ. ზოგ შემთხვევაში ჯერ ხის ბოძებზე აგებდნენ (დაახლოებით 30-40 სმ. სიმაღლეზე) , შემდეგ ძირს გამოუშენებდნენ ქვით. ქვის საძირკველს მიწას შემოაყრიდნენ გარშემო. სახლის სიგრძე დაახლოებით 13 ადლამდე[1] უნდა ყოფილიყო, სიგანე კი -12. ქვის საძირკვლის სიგანე ნახევარ ადლს უდრიდა. სახლის კედლის მასალას, შუაზე დახეთქილი მორი შეადგენდა. ქვის საძირკველზე ან ხის ბოძებზე დააწყობდნენ მსხვილ კოჭებს, რომელსაც გულს ამოჭრიდნენ **პირთხელით[2],** რომ გადაბმის დროს ერთმანეთში ჩამჯდარიყო - გადაკვანძულიყო. **ბოყვები[3]** კედელს ამაგრებდა და მთელ კედლებს გადააბამდა. კუთხეები ამოღარული საყელოთი უნდა გადაკეტილიყო. როდესაც კედლის სიმაღლეზე ააშენებდნენ. შემდეგ მასზე ერთიან სარტყელს დაადებდნენ. სარტყელი კედლის მასალაზე უფრო მსხვილი იყო. სახლის შუაზე სარტყელის ზევიდან **თავხეს[4]** გადებდნენ, რომლის თავი და ბოლო სარტყელს ეყრდნობოდა. ხოლო შუაზე შიგნით ბოძზე იყო დანდობილი. ამ ბოძს **დედაბოძი** ეწოდებოდა. სარტყელზე თითო ადლის დაშორებით აწყობდნენ მსხვილ კოჭებს, შემდეგ დააყრიდნენ ჭერს ხის მრგვალ მასალას. ჭერზე ბანს დააყოლებდნენ კვამლის

[1] ადლი ოთხ მტკაველს უდრიდა.

[2] პირთხელი- თხელპირიანი სატეხი რკინისა.

[3] ბოყვი- ჩარჩო, რომელშიც ფიცრებია ჩასმული.

[4] თავხე- მთავარი კოჭი.

ასასვლელად. ჭერზე შინს[5] დააფენდნენ. თუ შინს ვერ იპოვიდნენ, მაშინ ნაფოტს მოაყრიდნენ, მოასწორებდნენ. ჯერ წყალს მოასხამდნენ და მერე ტკეპნიდნენ სატკეპნი ნიჩაბით. **ერდო** საიმედოდ იტკეპნებოდა, რომ წყალი არ ჩასვლოდათ. შუა ნაწილში იყო შუა ცეცხლი. ცეცხლი ადიოდა ჭერის ქვეშ. ხეზე ჩამოკიდებული იყო საქვაბური ანუ საკიდელი. საქვაბურის დაგრძელებაც შეიძლებოდა და დამოკლებაც (გოგოლაძე, 1968:63, 67).

დედაბოძი ძველი ქართული სახლის-დარბაზის მთავარი ბოძი იყო, ამიტომ შუაში იდგა, მთელი სახურავი მასზე იყო დაყრდნობილი. დედაბოძის თავთან, მაღლა ერდო (სათვალე) იყო. დედაბოძი ორნამენტირებული იყო სხვადასხვა ფიგურებით. სახლის შუა ნაწილში იყო კერა. შუა ცეცხლის კვამლი ბანში ადიოდა. ჭერის ქვეშ გადებულ ხეზე ჩამოკიდებული იყო კავიანი ჯაჭვი, რომელსაც საქვაბური ეწოდებოდა. საქვაბურის დამოკლებაც შეიძლებოდა და დაგრძელებაც.

მოტანილი მაგალითები ნათელი დადასტურება იმისა, თუ სივრცითი სიმბოლეებით რაოდენ უხვად დატვირთულ სამყაროს აერთიანებდა ,,დარბაზი“ და ზოგადად, საცხოვრისის ფენომენი. აქ თითქმის ყოველი ელემენტი გარკვეული სიმბოლოს მატარებელია. ამ კომპლექსის ყოველ გარკვეულ ელემენტს , იქნებოდა ეს არქიტექტურული (დედაბოძი) თუ ყოფითი (კერა), პირველ რიგში თავთავისი პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა (ბუხრაშვილი, 2005, გვ. 81).

ერდოიან-ბანიან სახლს ცალყურა კარი ჰქონდა. მას აკეთებდნენ გათლილი მუხის ან წიფლის მასალით[6]. კარების სიმაღლე სამ არშინამდე[7] იყო, ხოლო სიგანე ორი არშინი იყო. კარები როგორც შიგნიდან, ისე გარედან ურდულით (საგდულით) იკეტებოდა. ასეთი ტიპის სახლს პატარა სარკმელი ჰქონდა დატანებული შუქისათვის ერდოზე ბანის ახლოს, დღისით შუქი სარკმლიდანაც ჩამოდიოდა და ბანიდანაც. სარკმელს კარებიც ჰქონდა, რომელსაც წვიმის დროს კეტავდნენ შიგნიდან, სიცივის დროს თხის ბეწვის უხეში ქსოვილის ნაჭერს აფარებდნენ (ბედუკაძე, ჩართლიანი, 1957, გვ 22-23).

ბანიანი სახლის წინა ნაწილი საცხოვრებელს წარმოადგენდა და უკანა ნაწილისაგან გამოყოფილი იყო წნულით. სახლის უკანა ნაწილი ბოსლად იყო გამოყენებული. ბოსელი თვითონაც ორად იყო გაყოფილი, ერთი ნაწილი საცხვარეს წარმოადგენდა, ხოლო მეორე - საძროხეს. ამ უკანასკნელში სხვა მსხვილფეხა საქონელიც ება. პირუტყვი სახლის კარებიდან შეჰყავდათ ბოსელში. ბოსლის იმ ნაწილში, სადაც მსხვილფეხა საქონელი ება, იატაკზე ხის ძელები ან მრგვალი მორები იყო დაგებული, რომელსაც **ზღვეს**[8] უწოდებდნენ. ბოსლის ორივე მხარეს ბაგა (საკვებური) იყო მოწყობილი, ქათმებისათვის ლატნის ქანდარა იყო კედელზე. სახლის დამხმარე ნაგებობას შეადგენდა-საღორე, სასიმინდე (ძარი) საბძელი, ფარდული, სათონე.

სახლის აშენებას ზაფხულში იწყებდნენ, რადგან დიდი დღეები და კარგი ამინდები უწყობდა ხელს. მშენებელ ოსტატებთან ანგარიშსწორება ხდებოდა - ჭირნახულით ან პირუტყვით, ხოლო ზოგ შემთხვევაში, თუ ხელოსანი ადგილობრივი იყო სამაგიეროს[9] წესით ქირაობდნენ. სახლის მშენებელი რამდენიმე დღეს უნდა მიხმარებოდა ხელოსანს.

---

[5] შინი ბალახის ერთ-ერთი სახე იყო.

[6] შეიძლებოდა სხვა მასალის გამოყენებაც.

[7] არშინი- ძველებური რუსული ზომის ერთეული (71 სმ.).

[8] ზღვე (ზღუე)-ქვითა, გინა ძელითა იატაკი დაფენილი (ორბელიანი, 1991, გვ. 293).

[9] ფრონის ხეობაში სამაგიეროს წესით მეზობლები სხვა საქმეებშიც (თოხნა, ბარვა...) ეხმარებოდნენ ერთმანეთს. ეს წესი ახლაც არის გავრცელებული.

სახლის მშენებლობისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადგილის მდებარეობას და ნიადაგის ხასიათს. არჩევნის შესაძლებლობის პირობებში სასახლე ადგილი უნდა ყოფილიყო მშრალი, მზიანი, ქარისა და მეწყერისაგან დაცული. ქვას დადებედნენ სასახლკარე ადგილზე. თუ ჭია დაიბუდებდა, იტყოდნენ ნესტიანი ადგილია და სასახლკარედ არ გამოდგებაო. საძირკველში ხურდა ფულსაც ჩაყრიდნენ - შეძლებულობა იქნებაო. აჭარაში საძირკველში შაქარსა და საქონლის ბეწვსაც ჩაატანდნენ - საქონლის სიმრავლე და სიტკბო იქნებაო (კობერიძე, 2011, გვ. 169).

საქართველოს მთიან კუთხეებში სასახლე ადგილის შერჩევისას, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პირობებისა, დიდ ყურადღებას აქცევდნენ მტრის თავდასხმის შემთხვევაში საიმედოდ დასაცავი ადგილის შერჩევას (ითონიშვილი, 1967, გვ. 9).

ფრონის ხეობის სოფლებში საერთო თავდაცვითი ნაგებობები ასრულებდნენ თავშესაფრის როლს.

სახლი შენდებოდა ეზოს ცენტრში ან მის უკან. იმ შემთხვევაში თუ ეზოს რელიეფი სწორი არ იყო, სახლს ამაღლებულ ადგილზე აშენებდნენ. ეზო ძველ ქართულში საზოგადოდ მოზღუდულ არეს ეწოდებოდა და გენეტიკურად საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის განვითარებას უკავშირდება (კახიანი, 1964, გვ. 243).

XVII-XIX სს. მონაცემების მიხედვით კახეთში და დღევანდელ საინგილოში საცხოვრებლის ძირითად ტიპს ქვიტკირით ნაშენი, დიდი ზომის, ფანჯრიან-ქანობიანი სახურავით მომთავრებული სახლი წარმოადგენდა.

კახური ქვიტკირის სახლი კომპლექსური ხასიათისა იყო. ერთსართულიანი ქვითკირის სახლი აერთიანებდა საკმაოდ დიდი ზომის საცხოვრებელ ოთახს, სამზარეულო-საკუჭნაოსა და მარანს. კახურ ორსართულიან სახლში პირველი სართული სამეურნეო სათავსოებს ჰქონდა დათმობილი, მეორეზე მხოლოდ ადამიანის საცხოვრისი იყო (Харадзе, 1952, стр. 14-13).

კახეთში ამ დროისათვის საშენი მასალის მიხედვით ფიცრული და წნული სახლებიც ყოფილა გავრცელებული, მაგრამ გაბატონებული მდგომარეობა მაინც ქვითკირის სახლს ეკავა. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, გარე კახეთის ზოგიერთ სოფელში და ნაწილობრივ შიდა კახეთშიც აქა-იქ შეინიშნებოდა გვირგვინიან-ერდოიანი სახლებიც, რომლებიც კახელებს მეზობლად მცხოვრები ქართლელებისაგან უნდა გადაეღოთ, ანდა კახეთში დასახლებულ ქართლელებს უნდა აეშენებინათ. მაგალითად, ქართლიდან კახეთისაკენ გზად მიმავალ გიულდენშტედტს (XVIII საუკუნის მეორე ნახევარში) ივრის ხეობის მარჯვენა მხარის სოფლებში, კერძოდ, ქოდალოში ბანიანი სახლები უნახავს, რომლებსაც იგი, რუსულის გავლენით, ზემლიანკას (მიწურს) უწოდებს. გიულდენშტედტის მოგზაურობიდან ირკვევა, რომ სხვა ადგილებში ეს ზემლიანკა გვირგვინიან-ერდოიანი სახლი ყოფილა (გიულდენშტეტი, 1962, გვ. 21).

დაბალი წრის თბილისელთა სახლის აღწერისას იგი წერს, რომ ეს ბანიანი მეტად ,,ბევრ ჰაერიანი“ ყოფილა. ,,ბევრ ჰაერიანობა“ კი, როგორც ცნობილია ბანიანი სახლებიდან

მხოლოდ გვირგვინიან-ერდოიანი საცხოვრებლისთვის არის დამახასიათებელი (ჩიქოვანი, 1966, გვ. 12).

გიულდენშტედტის ხსენებული დაკვირვების შედეგად, დასტურდება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სამგორის ველისა და ივრის ხეობის შუა წელში მოსახლეობის ძირითად საცხოვრებელს ჯერ კიდევ გვირგვინიან-ერდოიანი სახლი წარმოადგენდა. რაც შეეხება შიდა კახეთს, გიულდენშტედტი თავის მოგზაურობაში აღნიშნავს, რომ ხსენებული ტიპის სახლები კახეთში იშვიათობას წარმოადგენდა და თუ იყო, ისიც ქართლიდან ჩამოსახლებულ გლეხობას უშენებია.

ისმის კითხვა: სანდოა გიულდენშტედტის ცნობა?; ასხვავებდა კი იგი ქართლ-კახურ სახლებს ერთმანეთისაგან? ის წერს: ,,კახეთის სახლების არქიტექტურა ძალიან განსხვავდება ქართლურისაგან; პირველი არის მიწის ზემოთ, უკანასკნელი კი მიწაში

გვირგვინისებურ-პირამიდული მოყვანილობის ისეთი ძელური საცხოვრებელი ნაგებობა, რომელიც ერდოთი იყო მომთავრებული, არქაული სახით, გარდა ამიერკავკასიისა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში საკმაოდ იყო გავრცელებული. რომ ასეთი ტიპის ნაგებობანი სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა. დღეისათვის უკვე საეჭვო აღა არის აღნიშნული ხასიათის ნაგებობების ერთმანეთისაგან დიამეტრიულად საწინააღმდეგო და სხვადასხვა ტერიტორიაზე არსებობა-აღმოსავლეთ ციმბირი, კალიფორნია, დიდი ბრიტანეთი და ამიერკავკასია-რასაკვირველია სწორედ მათ სპონტანურ წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს. ამ მხრივ, მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა (ჩიქოვანი, 1966, გვ. 222).

სამეცნიერო კვლევებიდან კარგად ჩანს, რომ გვირგვინიან-ერდოიანი გადახურვის მსგავსი მოტივები, რომლებიც ესოდენ ფართო გავრცელებას პოულობენ სხვადასხვა ტერიტორიაზე, უეჭველად სპონტანური წარმომავლობისანი არიან. გენეტიკური კავშირი ერდოიან - გვირგვინიან სახლებთან პირობითია. ზემოთ აღნიშნული ნაგებობანი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელად სხვადასხვა კულტურულ-ისტორიულ სამყაროში და გეოგრაფიულ-კლიმატურ გარემოშია აღმოცენებულ-განვითარებული.

ლ. ზუმბაძე გამოყოფს დარბაზის ორ ტიპს: ქართლურსა და მესხურს. ქართლური დარბაზი წარმოადგენს ერთსათავსიან საცხოვრისს დერეფნით და შუა კერით, რომლის თავზეც აღმართულია გვირგვინი. ეს უკანასკნელი მოჩუქურთმებულ დედაბოძებს ეყრდნობა. დედაბოძების რაოდენობისა და განლაგების მიხედვით განირჩევა სამი ძირითადი ტიპი: ორბოძიანი (!+1), სამბოძიანი (2+1) და ოთხბოძიანი (2+2). დარბაზის მესხური ტიპი წარმოადგენს კომპლექსურ საცხოვრისს - დარბაზოვანს, რომელშიც ძირითადი საცხოვრებლის გარდა, ერთ ჭერქვეშ მოქცეული სხვა დანარჩენი სამეურნეო-საცხოვრებელი სათავსოებიც: ბოსელი (ახორი), საცხოვრებელი ოთახი (ახვრის ოდა), ზამთრის საცხოვრებელი ,,ოდა“ ბუხრით, საბძელი, დერეფანი და სხვა. მესხურ დარბაზში გვირგვინი თორმეტ კედლისპირა ბოძს ეყრდნობა. დარბაზი თბება მოჩუქურთმებული ბუხრის მეშვეობით (Сумвадзе, 1984, стр. 355).

ქართლში გავრცელებული ერთთვლიანი დარბაზი დიდი ზომის იყო და წინ დერეფანი ჰქონდა. კომპლექსური დამახასიათებელი იყო სამცხე-ჯავახეთისა და თრიალეთისათვის. მასში საცხოვრებელი და სამეურნეო სათავსო ერთჭერქვეშ იყო განლაგებული. დარბაზის გადახურვას გვირგვინი წარმოადგენდა. გვირგვინი ხის მრავალსაფეხურიანი გუმბათია,

რომელიც კოჭების პარალელური ან კუთხური წყობით იყო ნაგები და ერდოთი მთავრდებოდა. ერდო ერთდროულად საკვამლეც იყო და სინათლის წყაროც. ეთნოგრაფიული მხარეების მიხედვით დარბაზი სხვადასხვანაირი იყო: კვადრატული, წაგრძელებული, ოთხკუთხედი. დარბაზის ცენტრში მოთავსებული იყო კერა, მის შიდა მხარეს იდგა დედაბოძი, შიდა და გვერდით კედლებში დატანებული იყო თაროები, განჯინები... საქართველოში გავრცელებული იყო ტერასული მიწურ ბანიანი სახლებიც, რომელიც შერეული მასალით იყო ნაგები და ბრტყელი ბანი ჰქონდა (ხუციშვილი, 2006, გვ. 8-9).

მეტად საყურადღებოა, გიორგი ჩიტაიას მიერ ლიახვისა და მეჯუდის ხეობაში შესწავლილი სახლების ევოლუციის პროცესი გაშუქების მიხედვით: ,,უშუქო“ სახლი, რომელშიც შუქი მხოლოდ კარიდან შედის (სოფელი ზემო ჭარები), ერდოს შუქიანი (ზ. ჭარები) - სახლი, რომელსაც შუქი ზემოდან ჩაუდის, მაგრამ ერდო განსხვავებულია ჩვეულებრივი ერდოსაგან. ამ შემთხვევაში ბანზე მოწყობილია ისეთი ნაგებობა, რომ შუქი გვერდიდან შედის და შემდეგ სახლში ჩადის. სხვა შემთხვევაში შუქისათვის სახლის კედელში ფანჯარაა გამართული (ჩიტაია, 1941, გვ. 49-50). სახლის გაშუქების ასეთივე სისტემები მის მიერ დამოწმებული იყო მესხეთში (ქვაბლიანის ხეობა) (ჩიტაია, 1926, გვ. 208).

ერდოიან-ბანიანი სახლის პარალელურად გვხვდება სხვა ტერმინებიც: ,, დარბაზი“, ,,ერდოიან-გვირგვინიანი“, ,,ერდოიანი დარბაზი“, ,,ერდოიანი სახლი“,, ერთობის სახლი“ ... ერდოიანი იმიტომ, რომ ერდო, დარბაზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი იყო, ხოლო რაც შეეხება ,,ერთობის სახლს“ ქართლში, იგი ამ საცხოვრებლის სოციალურ ხასიათზე მიუთითებს. დარბაზული ტიპის საცხოვრებელი თავისი სოციალური სტრუქტურითა და შინაარსით ასოცირდება დიდ, განუყოფელ ოჯახთან, სადაც გაუყრელი ძმები თავიანთი ცოლ-შვილით ერთად, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, რომელთაც უძღვებოდა ოჯახის უფროსი. ის ანაწილებდა სამეურნეო ფუნქციებს და ამყარებდა ურთიერთობას სხვა ოჯახებთან. ისინი იკრიბებოდნენ კერიის გარშემო. კერიას ამ შემთხვევაში საკრალური მნიშვნელობაც ჰქონდა. კერია იყო წმინდა ადგილი.

ნ. შოშიტაშვილის დაკვირვებით, ქართული დარბაზი ანუ ერდოიან - გვირგვინიანი საცხოვრისი სამი სახისა იყო: ქართლური, სამცხე-ჯავახური ანუ მესხური და წალკა-თრიალეთური (შოშიტაშვილი, 2019 ა , გვ. 37).

ამჟამად, გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია XIX საუკუნის ქართლური დარბაზი, რომელიც 1973 წელს გადმოუტანიათ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თელიანიდან, რომელიც ეკუთვნოდა დემეტრაშვილების ოჯახს. დღეს, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხაში დასტურდება მარჯანიშვილების ერდოგვირგვინიანი დარბაზი, რომელიც აგებულია XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე (შოშიტაშვილი, 2019 ა, 38).

ეთნოგრაფიულ მუზეუმში ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაჭკარიდან ერდოგვირგვინიანი სახლი 1971 წელს გადმოიტანეს. ეს ნაგებობა უძველესია არა მარტო მუზეუმში, არამედ ყველაზე ,,ხანდაზმული“ ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილ დარბაზებს შორის. იგი XVII-XVIII განეკუთვნება და ხუციშვილების საკუთრება ყოფილა (შოშიტაშვილი, 2019 ბ, გვ. 37).

ჭაჭკარის ხუციშვილების საცხოვრისი უნიკალური მეგალითური ინტერიერითა და ერთგვაროვანი გადახურვით. საცხოვრებელი დარბაზი დაახლოებით 65 კვმ-ია. უკან მიდგმული აქვს სამეურნეო დანიშნულების და მოხუცების სამყოფელი მცირე სენაკი, ნახევრად კლდეში გამოკვეთილი ქვის საწოლით. გადახურულია რვაკუთხოვანი გვირგვინით.

ქართლ-კახური ტიპის დარბაზებში გვირგვინიანი გადახურვა მხოლოდ დედაბოძს ეყრდნობა, აქ კი კონსტრუქციული დატვირთვა დედაბოძებთან ერთად, კედლის გასწვრივ, ქვის ბალიშებზე აღმართულ ბოძებზე არის განაწილებული. დარბაზის გვირგვინი ბოლოვდება ერდოთი, საიდანაც გადის კვამლი და შემოდის სინათლე. გვირგვინის დამჭერ ბოძებზე იშვიათი ოსტატობითაა ხეში გამოკვეთილი ვერძის თავები (შოშიტაშვილი, 2019 ბ, გვ. 38).

ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია 1977 წელს ახალციხი რაბათიდან გადმოტანილი ყირქესლიშვილების (უფრო ადრე ბალიაშვილების) ერდოგვირგვინიანი ქალაქური დარბაზი. დარბაზის ფართობი 49 კვმ-ია. გვირგვინის სიმაღლე 7 მეტრია და ბოლოვდება ერდოთი. კომპლექსურია რეხადან (ქართლიდან) 1972 საბაძეების დარბაზი. ეს არის კომპლექსური ნაგებობა: შედგება საცხოვრისისა და მასზე მიდგმული საქონლის სადგომისაგან. ეს დარბაზი ქართლური და სამცხე-ჯავახური დარბაზების სინთეზსს წარმოადგენს. მესხეთში დედაბოძები სადაა, ქართლში კი მოჩუქურთმებული (შოშიტაშვილი, 2019 ბ, გვ.39).

მოგვიანებით, მეოცე საუკუნის დამდეგისათვის ფრონის ხეობაში გავრცელდა ქვა-ტალახა სახლი, რომელსაც, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ქვით და ტალახით აშენებდნენ (კირი ყოველთვის არ იშოვებოდა). სახლს პირველად ორფერდი სახურავი ჰქონდა, შემდეგ კი მას ოთხფერდაც მოარგეს.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სახურავის **ქანობთა**[10] რიცხვის მატება საცხოვრებელი სახლის ფართის გადიდებით იყო გამოწვეული. ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე საქრთველოს სხვა კუთხეებშიც - ალგეთის ხეობაში (ჩიქოვანი, 1959, გვ. 238), აჭარაში (ჩიქოვანი, 1960, გვ. 97).

ქვა-ტალახა სახლს თეთრი მიწით ლესავდნენ. თეთრი მიწა სოფელ ავნევის ახლოს მოიპოვებოდა, მას ,, ღარიბების საკირეს“ უწოდებდნენ.

ფრონეს ხეობაში ქვა-ტალახა სახლის პარალელურად გავრცელებული იყო ხის სახლები, რომელთაც ბოყვიანი ანუ ჭდეული სახლები ეწოდებოდა. ხის სახლის კედლებად გამოყენებული იყო წიფლის, მუხის ან ცაცხვის ხის დათლილი ან ორად დახერხილი მასალა. თუ მასალა კედლის სიგრძეზე არ წვდებოდა, მაშინ **ბოყვებს**[11] აყენებდნენ კედლებში, ხოლო კუთხეებში **საყელოთი** კეტავდნენ.

ბოყვები არის შვეულად დადგმული გვერდებზე ამოღარული სქელი ფიცარი, რომელშიც კედლის ფიცრის თავებია ჩამაგრებული. ბოყვებს უყენებდნენ, როგორც კედელში, ისე კარ-ფანჯრებთანაც. ფიცრები ერთმანეთში ჯდებოდა და სახლი უფრო მტკიცედ ნაგები იყო. თავდაპირველად ასეთი სახლები ერთსართულიანი იყო, შემდეგ ორსართულიანი. საძირკველი ქვის ჰქონდა. ასეთი ტიპის სახლების გადახურვის სისტემა მსგავსი იყო **ქვა-ტალახა სახლისა.** ერთსართულიანი ხის სახლი უაივნო იყო, ორსართულიანი-აივნიანი.

[10] სახურავის ქანობი-სახურავის დახრილობა.

[11] ჩარჩო.

ხის სახლმა ფრონის ხეობაში, და , საერთოდ, საქართველოს სხვა კუთხეებშიც, გაიარა განვითარების მთელი რიგი საფეხურები: შეიცვალა მისი საცხოვრებელი ფართობი: იგი კვადრატული იყო-ორ ოთახიანი გახდა. მოისპო გრძელი კერიანი ოთახის ტიპი. შეიცვალა მისი დეკორაციული მხარეც, კერის ადგილი ბუხარმა დაიკავა. შეიცვალა ფართობი და კონსტრუქცია.

ახალი საცხოვრებელი სახლები აქ, ძირითადად ორი ტიპით არის წარმოდგენილი: 1. ორსართულიანი ორ ან სამოთახიანი ოთხფერდა სახურავიანი სახლები, რომლის ქვედა სართული ქვის, ზედა-კარგად დამუშავებული ხის მასალისაგან გაკეთებული და გავრცელებული უმეტესად ამ ხეობის ზემო ნაწილში (წორბისი, ყორნისი, ციხიათი, მალდა, თორმანეული...). 2. ქვითკირის - ქალაქური ტიპის სახლები, რომლებიც ბარის სოფლებში (ავნევი, არკნეთი, დიდმუხა, მუგუთი, ბეყმარი ..) იყო გაბატონებული (გოგოლაძე, 1968, გვ. 71).

გარდა საცხოვრებელი სახლისა კარმიდამოზე განლაგებულია: სათორნე, ბოსელი, სამზარეულო, სასიმინდე, საღორე. დროთა განმავლობაში ქვის სახლმა ცვლილება განიცადა, უმეტესად ქვისა და აგურის ორსართულიანმა სახლებმა შეცვალა.

ფრონის ხეობაში ფიქსირებული ახალი ტიპის (ქალაქური ტიპის) საცხოვრებელი სახლი საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც. ამ ხეობაში და მის გავრცელების (მეზობელ) რაიონებში აღნიშნული ტიპის სახლის არსებობა თითქმის მსგავსი ხასიათის ეკონომიური ცხოვრებით და ასევე მსგავსი ბუნებრივ-კლიმატური გარემოთი არის განპირობებული.

საცხოვრებელი სახლიდან სამეურნეო ნაგებობათა (ბოსელი, საბძელი, სათორნე, სასიმინდე...) გამოყოფა უთუოდ ახალ ვითარებას მიეწერება და გამოწვეულია ახალი, კულტურული ცხოვრების მოთხოვნებით.

ამრიგად, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების ანალიზიდან გარკვევით ჩანს, რომ ფრონის ხეობის ერდოიან-ბანიანი სახლები იმეორებს საცხოვრისის იმ ტრადიციას, რაც ქართლისთვის იყო დამახასიათებელი. სპეციფიკაცია გამოვლინდა შენობის კონსტრუქციასა და შიდა სივრცის განლაგებასთან. აქ ხაზგასასმელია დედაბოძისა და კერის საკრალური ხასიათი- ოჯახის სიწმინდე და ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა. ფრონის ხეობისათვის დამახასიათებელი იყო ერთთვლიანი დარბაზი, რომლის თავზე აღმართული იყო გვირგვინი. თრიალეთისა და სამცხე-ჯავახურისათვის დამახასიათებელი იყო კომპლექსური დარბაზი, რომელშიც საცხოვრებლის გარდა, მოქცეული იყო სხვა სამეურნეო სათავსოები (ბოსელი, საბძელი, დერეფანი...). კომპლექსური დარბაზი მტრის თავდასხმის შემთხვევაში საიმედო დასაცავ ადგილსაც წარმაოდგენდა. ფრონის ხეობის სოფლებში თავშესაფრის როლს საერთო თავდაცვითი ნაგებობები (ციხეები) ასრულებდნენ.

## გამოყენებული ლიტერატურა


აბულაძე, ი. (1973). *ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები).* თბილისი: გამომცემლობა ,,მეცნიერება".

ბედუკაძე, ს. ჩართლიანი, მ. (1959). სამგორის ახალი მოსახლეობის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. *აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX, XX*, 22-23.

ბუხრაშვილი, პ. (2005). *საცხოვრისი ქართველი ერის ყოფასა და კულტურაში ძველად.* თბილისი.

გიულდენშტედტი, ი. (1962). *მოგზაურობა საქართველოში.* თბილისი.

გოგოლაძე, ვ. (1968). *სოფელი ავნევი.* ცხინვალი: გამომცემლობა ,, ირისთონი".

ითონიშვილი, ვ. (1965). სახლის მშენებლობის ხალხური წესები ხევში.*საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, #6*, 243.

კახიანი, კ. (1964). *გლეხის კარმიდამო იმერეთში. ქართველი ხალხის ყოფა და მატერიალური კულტურა.* თბილისი.

კობერიძე, მ. (2011). *ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა.* თბილისი: გამომცემლობა ,,მერიდიანი".

ორბელიანი, ს. (1991). *ლექსიკონი ქართული. I.* თბილისი: გამომცემლობა ,,მერანი".

*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (1953). III.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (2008). II.* თბილისი.

შოშიტაშვილი. (2019)ა. ერდოგვირგვინიანი დარბაზული სახლები. *ისტორიანი. #7 (103)*, 37-43

შოშიტაშვილი. (2019) ბ. ერდოგვირგვინიანი დარბაზული სახლები. *ისტორიანი. #9 (105)*, 35-41.

ჩიტაია, გ. (1926). გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში. *მიმოხილველი. I.* 208.

ჩიტაია, ი. (1941). პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობაში ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში. *აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის მოამბე. XI.*, 49-50.

ჩიქოვანი, თ. (1959). დასავლურ ქართული საცხოვრებელი სახლის- ,,ოდა სახლის" ზოგიერთ სახესხვაობის შესახებ. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XXIII, #2*, 238.

ჩიქოვანი, თ. (1960). ზემო აჭარული სახლი. *ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შრომები. I.*, 97.

ჩიქოვანი, თ. (1966). გვირგვინიან-ერდოიანი საცხოვრებლის და ვიტრუვის კოლხური სახლის ურთიერთობისათვის. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, #6*, 211.

ჩუბინაშვილი, ნ. (1941). *ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ.* თბილისი.

ცოცანიძე, გ. (2012). *თუშური ლექსიკონი.* თბილისი: გამომცემლობა ,,სულაკაური".

ჭინჭარაული, ა. (2005). *ხევსურული ლექსიკონი.* თბილისი.

ხარაძე, რ., რობაქიძე, ალ. (1964). *სვანეთის სოფელი.* თბილისი.

ხარაძე, რ., რობაქიძე, ალ. (1965). *მთიულეთის სოფელი ძველად.* თბილისი: გამომცემლობა ,,მეცნიერება".

ხუციშვილი, ქ. (2006). *კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია.* თბილისი: გამომცემლობა ,,კავკასიის სახლი“.

ჯავახიშვილი, ი. (1976). *მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ტ. I. აღმშენებლობა და ავეჯი.* თბილისი: გამომცემლობა ,,მეცნიერება“.

Сумбадзе , Л. (1984). Архитектура Грузинского народного жилища ,,Дарбази”. Тбилиси: Мецниереба.

Харадзе, Р. (1952). *Грузинская се меиная овщина . ч .II.* Тбилиси.

## References

buladze, i. (1973). *dzveli kartuli enis leksik'oni (masalebi).[Dictionary of the old Georgian language (materials)].* Tbilisi: gamomtsemloba ,,metsniereba”.

beduk'adze, s. chartliani, m. (1959). samgoris akhali mosakhleobis satskhovrebeli da sameurneo nagebobani. [Residential and commercial buildings of the new population of Samgori]. ak'ademik'os s. *janashias sakh. sakarttvelos sakhelmts'ipo muzeumis moambe,[ Academician S. Janashia house Reporter of the State Museum of Georgia], t'. XIX, XX,* 22-23.

bukhrashvili, p'. (2005). *satskhovrisi kartveli eris qopasa da k'ult'urashi dzvelad*. *[Living in the existence and culture of the Georgian nation in ancient times].*Tbilisi.

giuldensht'edt'i, i. (1962). *mogzauroba sakartveloshi*. *[Travel to Georgia].*Tbilisi.

itonishvili, v. (1965). sakhlis msheneblobis khalkhuri ts'esebi khevshi. [Folk rules for building a house in Khevi]. *sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis matsne,[ Herald of the Academy of Sciences of the USSR of Georgia]. #6, 243*.

k'akhiani, k'. (1964). *glekhis k'armidamo imeretshi. kartveli khalkhis qopa da mat'erialuri k'ult'ura*. *[Farmer's farm in Imereti. Georgian people's existence and material culture].*Tbilisi.

k'oberidze, m. (2011). *zemoach'arulis dargobrivi leksik'a. [Zemo Adzarian Branch Vocabulari ].* Tbilisi: gamomtsemloba ,,meridiani“.

gogoladze, v. (1968). *sopeli avnevi. [Avnev village].*Tskhinvali: gamomtsemloba ,,iristoni”.

orbeliani, s. (1991). *leksik'oni kartuli. [Georgian dictionary].*I. Tbilisi: gamomtsemloba ,,merani”.

*kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni. [Explanatory dictionary of the Georgian language].* (1953). III. Tbilisi: *gamomtsemloba* ,,Academy of Sciences of the USSR of Georgia”.

*kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni. [Explanatory dictionary of the Georgian language].* (2008). II. Tbilisi.

shoshit'ashvili. (2019)a. erdogvirgviniani darbazuli sakhlebi.[Hall houses with earthen crowns]. *ist'oriani*. *[History].#7 (103),* 37-41.

shoshit'ashvili. (2019)b. erdogvirgviniani darbazuli sakhlebi. .[Hall houses with earthen crowns]. is*t'oriani*. *.[History ]*#9 (105), 35-41.

chit'aia, g. (1926). glekhis sakhli kvablianis kheobashi.[Peasant's house in the valley of Kavagliani]. *mimokhilveli.[ Reviewer]. I,* 208.

chit'aia, i. (1941). p'at'ara liakhvisa da mejudis kheobashi etnograpiuli eksp'editsiis mok'le angarishi.[ A short report of the ethnographic expedition to Little Liakhvi and Mejudi valleys].

*ak'ademik'os n. maris sakhelobis enis, ist'oriisa da mat'erialuri k'ult'uris ist'oriis moambe. [Academician N. Narrator of the history of language, history and material culture named after Mari]. XI,* 49-50.

chikovani, t. (1959). dasavlur kartuli satskhovrebeli sakhlis- ,,oda sakhlis" zogiert' sakheskhvaobis shesakheb.[ About some differences of the Western Georgian residential house - "Oda House"]. *sakartvelos metsnierebata ak'ademiis moambe*. [*Bulletin of the Georgian Academy of Sciences. Vol].t'. XXIII*, #2, 238.

chikovani, t. (1960). zemo ach'aruli sakhli.[ Upper Adjarian house]. *batumis sametsniero k'vleviti inst'it'ut'is shromebi.[ Proceedings of Batumi Scientific Research Institute]. I, 97*.

chikovani, t. (1966). gvirgvinian-erdoiani satskhovreblis da vit'ruvis k'olkhuri sakhlis urtiertobisatvis. [For the relationship between the Gvirgvinian-Erdoian residence and the Kolkhurian house of Vitruvi].*sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis matsne Herald of the Academy of Sciences of the USSR of Georgia], #6, 2*11.

chubinashvili, n. (1941). *kartuli leksik'oni rusuli targmaniturt. [Georgian dictionary with Russian translation].* Tbilisi.

tsotsanidze, g. (2012). *tushuri leksik'oni*.[*Tussian dictionary].* Tbilisi: gamomtsemloba *,,* sulak'auri".

ch'inch'arauli, a. (2005). *khevsuruli leksik'oni*. *[Khevsuri dictionary].*Tbilisi.

kharadze, r. Robakidze, al. (1964). *svanetis sopeli.[ Svaneti village]* Tbilisi.

kharadze, r. Robakidze, al. (1965). *mtiuletis sopeli dzvelad.[ Mtiuleti village in ancient times].* tbilisi: *gamomtsemloba* ,,metsniereba".

khutsishvili, k. (2006). *k'avk'asiis khalkhta etnograpia. [Ethnography of the peoples of the Caucasus].*Tbilisi: gamomtsemloba ,,k'avk'asiis sakhli".

avakhishvili, i. (1976). *masalebi sakartvelos shinamrets'velobisa da ts'vrili khelosnobis ist'oriisatvis.[ Materials for the history of Georgian cottage industry and handicrafts]. t'.I. aghmshenebloba da aveji. [Construction and furniture]. tbilisi:* gamomtsemloba *,,metsniereba".*

Сумбадзе , Л. (1984). Архитектура Грузинского народного жилища ,,Дарбази". Тбилиси: Мецниереба

Харадзе, Р. (1952). *Грузинская семеиная овщина . ч . II.* Тбилиси.